

**მე ვიცი, რომ არ იყო ის, რას უნდათ, რომ იყო ინტერვიუ ამერიის პრეზიდენტ ზუკარა ფოცხვერიასთან**



## მინგვაშა პალტიდან უელაგის და ეროსიას დადებითი ნაშრომი

### ევროტესტი საქართველოსა და ჩვენი ხელბურთისტვის



ნაერების მწვრთნელი ირაკლი კეკელიძე




საქართველოს ნაერების მთავარი შემტევი რატი მსხვილიძე

### ბალაის გზა იგი ზაფხული რელსიში წავა

ანდრეი შევჩენკო, სამუელ ეტოლი, რომელიც ზღაპრით იბრაჰიმოვიჩი, რაული — ბოლო ხანს ბრიტანულმა მედიამ ლონდონურ „ჩელსის“ არაერთი ვარსკვლავი დაუკავშირა, რომან აბრამოვიჩი ზაფხულში ამათგან ერთ-ერთს გადაიბირებს.

ვერ გეტყვით, უოზე მაურინიუს გუნდს ზემოთ ნახსენებთან რომელი შეავსებს, ან შეავსებს კი, მაგრამ გუშინ სააგენტო „როიტერმა“ ასეთი ცნობა გაავრცელა: ზაფხულიდან „ჩელსის“ 29 წლის მიხეილ ბალაი ითამაშებს. გერმანიის ნაერების კაპიტანი ლონდონელთან კონტრაქტს ხელს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მოაწერს. იქვე „ბაიერნი“ ნახევარმცველის სიტყვებით: „გადაწყვეტილი ვერ არაფერია და არც არავითარ ქალაქში მომიწერია ხელი, მაგრამ არც იმას დავმალავ, რომ „ჩელსის“ გადასვლა ერთობ მზობლავს. რამდენიმე დღის წინ ვიყავი ლონდონში, ვესაუბრე უოზე მაურინიუსს და მასთან შეხვედრით კმაყოფილი დავრჩი. მაურინიუსს სასიამოვნო პიროვნება და მოსაუბრეა, მან დაწვრილებით ამიხსნა, რა უნდა და რას მოითხოვს ჩემგან“.

ვიდრე ყველაფერი საბოლოოდ გაირკვეოდეს, მიხეილ ბალაკმა გუშინ მიუნხენში ავტობიოგრაფიული წიგნის პრეზენტაცია მოაწყო, რომელსაც „ბალაკის გზა“ ჰქვია.



### კახეთი და კრივი დანათესავდნენ რეპიონს და რინბს პეტრე ცისკარიშვილი მიხედავს

გადაწყვეტილი ამბავია: კრივის ფედერაციას პეტრე ცისკარიშვილი ჩაიბარებს. კახეთის გუბერნატორი მცირე ფიქრის შემდეგ დათანხმდა ახალი თანამდებობის შეთავსებას. სავარაუდოდ, მომავალ კვირაში ოფიციალური პრეზიდენტიც გახდება.

უახლესი ინფორმაცია გუშინ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა მოგვანოდა:

„გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ცისკარიშვილი კრივს ჩაიბარებს. იგი უკვე ფედერაციის გამგეობასაც შეხვდა, გიორგი კანდელაკიც თანახმაა. ასე რომ, მხოლოდ იურიდიული საკითხებია დარჩა მოსაგვარებელი. შეიძლება, წესდების შეცვლაც გახდეს საჭირო“.

პეტრე ცისკარიშვილს ტელეფონით შევეხმიანეთ. ორი დღის წინანდელისგან განსხვავებით, ამჯერად სიტყვაუხვი იყო, თუმცა რამდენიმე კითხვაზე პასუხის შემდეგ მოგვიბოდიშა, საქმიან შეხვედრაზე ვარო და დაგვემშვიდობა...

ინტერვიუ პეტრე ცისკარიშვილთან იხილეთ მე-16 გვერდზე



იხილეთ მე-16 გვერდი

პროფესიონალიზმი

# შედეგი კარგია, ხარისხი — დასასვენებელი

## რაღაც მიზეზი: ახალი კანკაზას არ ველოდი



რაღაც მიზეზს სამწვრთნელო კარიერის ქართული ეტაპი წარმატებულად დაინყო. მართალია, მალტის ახალგაზრდული ნაკრები გრანდთა რიცხვს არ მიეკუთვნება, მაგრამ ოფიციალურ შეხვედრაში სტუმრად მოპოვებული გამარჯვება ყოველთვის ძვირად ფასობს. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ნუხელ გვიან ღამით მიუნხენის გავლით უნდა დაბრუნებულიყო თბილისში, გერმანული სამწვრთნელო შტაბი კი სამშობლოში გაბრუნდა. ჩვენც რაღაც მიზეზს დრეზდენში დაუვკავშირდით...

— მალტელებთან მატჩის შედეგით კმაყოფილი იქნებით...  
 — რა თქმა უნდა, შედეგით კმაყოფილი ვარ. ორმატჩიან დუელში სერიოზული უპირატესობა მოვიპოვეთ და ჯგუფურ ეტაპზე გასვლა არ უნდა გავკვირდეთ.  
 — იგივეს თქმა თამაშის ხარისხზე შეგიძლიათ?  
 — არა, რადგან ამ კუთხით ბევრი რამ შესაცვლელი და დასასვენებელია. ყველაზე მეტად რაც მაიმედებს, თითოეული ფეხბურთელის საქმიანობა მიდგომაა.  
 — შესვენებისას რა უთხარით გუნდს, თამაშის სქემა თუ შეცვალეთ?  
 — გეგმა ნამდვილად არ შეგვიცვლია, თამაში ისევე განვაგრძეთ და ალბათ ამიტომაც იყო, რომ მეორე ნახევარში გაცილებით ცუდ-

ად ვითამაშეთ. ალბათ ჯობდა, გარკვეული კორექტივები შეგვეტანა.  
 — რომელიმე ფეხბურთელმა თქვენს მოლოდინს თუ გადააჭარბა?  
 — თუ ვინმეს შესახებ ამის თქმა შეიძლება, რა თქმა უნდა, ეს ჯაბა კანკაზაა. ძალიან კარგად ითამაშა და უდიდესი წვლილი შეიტანა გამარჯვებაში.  
 — იმედები თუ გაგიცრუათ ვინმემ?  
 — ამ კონტექსტში ვინმეს დასახელება მართებული არ იქნება. ეს ჩემი დებიუტი იყო და საერთო ენა ჯერ ბოლომდე არ გამოვიჩინა. კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაოთ...  
 — საპასუხო შეხვედრის წინ შემადგენლობაში ცვლილებები თუ იქნება?

— აუცილებლად იქნება, რადგან ვალდებული ვარ, ყველას მივცე თავის გამოჩენის შანსი. თუმცა იმას ვერ ვიტყვი, რომ ამ ცვლილებებს დიდი სიხარულით განვახორციელებ — იმ ბიჭებამდე, რომლებიც მალტაზე მსხლდნენ, ნაწილობრივ მაინც უკვე მოვახერხე ჩემი იდეების მიტანა.  
 — როდის დაასახელებთ შემადგენლობას?  
 — სამუშაო ჯერაც ბევრია. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გაავარძლებ ფეხბურთელებზე დაკვირვებას და დასკვნას ამის შემდეგ გამოვიტან.  
 — როდის ჩამოიხრათ თბილისში?  
 — ორშაბათს ან სამშაბათს მანდ ვიქნები.

ნინო სილაგაძე

# ოთარ მარცვალაძის მალტური მარცვლები და ძირითადის იმედი

„ვიტ ჯორჯიდან“ კიევის „დინამოში“ ამ ზამთარს გადასულმა ოთარ მარცვალაძემ გუშინდელ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ითამაშა და მალტაზე მასპინძლებს ორი გოლი გაუტანა. ახალი მწვრთნელის, გერმანელი რაღაც მიზეზს ხელში კი ჩვენმა ახალგაზრდებმა პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარეს და 2:1 მოიგეს. შეგახსენებთ, მალტასთან შეხვედრა 2007 წლის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპისა და საპასუხო მატჩს ორ კვირაში ზესტაფონმა უნდა უმასპინძლოს...

— რა თქმა უნდა, შედეგით ძალიან კმაყოფილები ვართ. შეგვეძლო, მეტი სხვაობითაც მოგვეგო, მაგრამ შემთხვევითი გოლი გავუშეით და ისე მოხდა, რომ მეტოქეს მხოლოდ ერთობურთიანი სხვაობით ვაჯობეთ, არადა, თვალსაჩინო უპირატესობა გვქონდა — გვიტონა მალტაზე დუბლის გამტანმა ოთარ მარცვალაძემ, ვინც რამდენიმე თვის პაუზის შემდეგ ახალგაზრდულ გუნდში სწორედ რაღაც მიზეზს დააბრუნა.  
 — ორი გოლის გამტანი საკუთარი თამაშითაც კმაყოფილი იქნებით...  
 — როგორ ვითხრათ... ვფიქრობ, პირველ ტაიმში ნორმალურად ვითამაშე და გოლებიც გავიტანე. შესვენების შემდეგ კი, მგონი, ოდნავ უარესად გამოვიყურებოდი — ბურთი ბევრჯერ დაკვარდა, თუმცა არა უშავს, მთავარია, გუნდმა მოიგო.

— ამ მოგების შემდეგ ფიქრობ, რომ მალტა უკვე საბოლოოდ დამარცხებულია და ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებთ?  
 — არა, ასე არ ვიტყვი. მალტა მხოლოდ მაშინ გვეყოლება დამარცხებული, როცა საპასუხო მატჩსაც მოვიგებთ.  
 — მალტაზე რაღაც მიზეზს გუნდში ახალი რა იყო?  
 — ბევრი სიახლე იყო, თუმცა წვრილწვრილად ვერ გეტყვით, მწვრთნელმა რა შეცვალა. ტაქტიკა-სტრატეგიით დაწყებული, ალბათ, ყველაფერი ახალი იყო და ვფიქრობ, დამსახურებულადაც მოვიგეთ. ისე, ასეთი შემადგენლობით პირველად ვითამაშეთ და მატჩამდე ერთად სულ ორი დღე ვიყავით. მომავალში კი შევთამაშდებით, მწვრთნელის მოთხოვნებსაც იოლად შევკრევეთ და თამაშის ხარისხსაც გავაუმჯობესებთ.



— კლუბში როგორ მიგდის საქმეები?  
 — ნორმალურად. ძველებურად ველო ჩემს ჯერს და იმედი მაქვს, მალე ძირითად შემადგენლობაში ადგილს დავიმკვიდრებ.  
 — ბოლო ტურში, „ვოლინთან“ მატჩში ერთი ტაიმი ითამაშე და საგოლე პასიც გააკეთე. შეგიძლია ჩავთვალოთ, რომ მწ-

ვრთნელი ნელ-ნელა გაჩვენს ძირითად შემადგენლობას?  
 — ეს მწვრთნელმა უკეთ იცის. რაც ჩემზე დამოკიდებულია, ყველაფერს ვაკეთებ და ძირითადში მოსახვედრად ბოლომდე ვიბრძობ.

კობა ინასარიძე

გერმანია	
მეორე ბუნდესლიგა	XXX ტური
კოტბუსი 2:0 ჰანზა	
პარლსრუე 1:1 ოფენბახი	
ზიგინი 0:2 პადერბორნი	
ჩრდილოეთი რეგიონალლიგა	
გადაღებული მატჩი	
მსინი 0:1 ვატენბაიმი	
სამხრეთი რეგიონალლიგა	
გადაღებული მატჩები	
ბაიერნი (მ) 1:3 ბაიროითი	
ტირი 2:1 კაიზერსლაუტერნი (მ)	
ელვერსჰაიმი 0:3 დარმშტადტი	
ჟოფენბაიმი 1:2 კოლანცი	
კიჰარნი 1:2 აუგსბურგი	

იტალია	
სერია CVA XXXI ტური	
ფორანა 0:1 სპეცია	
ჯანოა 3:0 მონცა	
ჯულიანოვა 2:0 ნოვარა	
პადოვა 0:1 პავია	
პიცინატილი	
პრო სესტო 4:1 ტარანო	
პრო პატრია 1:3 სავანედიტა	
რავენა 2:1 ლუგოცანი	
სან მარინო 3:1 რიტადილა	
უმპიტარია	
ჩელენჯლიგა	XXIX ტური
ლოკარნი 2:1 გადანი	
ვილანი 3:0 მირინი	
იუვენტუსი 0:1 ლოზანი	

დანია	
სუპერლიგა XXVII ტური	
ოლბორგი 1:1 ვიბორგი	
მსაბიერი 4:0 ნორდინილანდი	
მიდტიულანდი 1:3 კოპენჰაგენი	
ოდენსე 3:0 ვორსანსი	
სიონდარისკი 2:0 სილკებორგი	
ორჰუსი 0:1 ბრონდბიუ	
პირველი დივიზიონი XX ტური	
ბრიუნსვიკი 0:4 ვიბორგი	
ფრეზედი 3:2 სკიოლდი	
ჟოლინგი 0:3 ჰელსინგი	
ლინგბიუ 1:0 იოლსტიკი	
კიოგა 3:2 ფრეზი	
რანდარსი 2:0 აკადემისკი	
ვაილე 5:1 ვარაბრანი	
ნიკიბინგი — ფრეზინსი გადამდო	

საქართველო	
პირველი დივიზიონი	17 ტური
მეორე დივიზიონი	17 ტური
XXVIII ტური	
13 აპრილი, ხუთშაბათი	
ზესტაფონი 2 0:0 თბილისი 2	
ჩიხურა 2:2 მერანი	
ზუგდიდი 2:1 დინამო 2	
ლიახვი 1:1 საგარეჯო	
მეშაქე 1:0 მალაროელი	
ამერი 2 0:0 რუსთავი	
იმედი 1:2 გურია	
მესხეთი 2:0 ვიტ ჯორჯია 2	
მეშახტე 2:0 გაგრა	

ჩიხურა	28	20	4	4	76:28	64
მერანი	28	18	5	5	46:21	59
გაგრა	28	16	8	4	39:18	56
დინამო 2	28	15	6	7	46:21	51
ამერი 2	28	14	7	7	37:20	49
რუსთავი	28	12	8	8	39:28	44
მეშაქე	28	13	4	11	37:29	43
მესხეთი	28	12	6	10	38:27	42
გურია	28	12	4	12	39:36	40
ვიტ ჯორჯია 2	28	10	5	13	30:33	35
მეშახტე	28	9	8	11	28:31	35
თბილისი 2	28	9	8	11	25:33	35
ზუგდიდი	28	9	7	12	17:24	34
მალაროელი	28	9	4	15	33:49	31
ზესტაფონი 2	28	8	6	14	22:40	30
საგარეჯო	28	7	7	14	26:38	28
იმედი	28	5	2	21	17:66	17
ლიახვი	28	4	1	23	20:73	13



საქართველოს ტელეკომი

TELECOM GEORGIA



დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე

(ტარიფი ფრცვლდება თბილისის მასშტაბით)

25 თეთრად

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად დროის

(ტარიფი ფრცვლდება საქართველოს მასშტაბით)

აკრეფვის წესი:

ნამობრივი

მობილურ ტელეფონზე დასარეკად

აღრიცხვა

8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)

+ აბონენტის ნომერი

საქართველოს რეგიონებში


8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ილაშქროთ გზი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის ბაზრ. 31 ბულ.: 442828 www.telecom.ge

გზარბაგი დოლენავაშვილის ფოტო



ხუან დიეგო გონსალესი „ლოკომოტივი“ და „მალაგაში“

# საიდან სად აო ხუან დიეგო გონსალესი: ლოკომოტივიდან მალაგაში

გახსოვთ ხუან დიეგო გონსალესი, პერუელი ჭაბუკი, რომელიც ამ სამი წლის წინ თბილისის „ლოკომოტივში“ იჯარით ჩაირიცხა? თუ გახსოვთ, გეტყვით, რომ ახლა ეს 21 წლის ბიჭი, ვისაც „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობამ თავის დროზე კონტრაქტი ვეღარ გაუგრძელა, ესპანურ „მალაგაშია“.

გონსალესის სანაცვლოდ ესპანელებმა პერუელებს დაახლოებით 2 მილიონი დოლარი გადაუხადეს. ჯერჯერობით გონსალესი „მალაგა B“-შია და ესპანურ სეგუნდა დივიზიონში სტაბილურად თამაშობს — ამ სეზონში 18-ჯერ გავიდა მოედანზე და 4 გოლი გაიტანა.

სამი წლის წინ კი ხუან დიეგო გონსალესი თბილისში ლუის ცაკარიასმა ჩამოიყვანა და მასზე საქეპარი სიტყვებიც არ დაუშურებია, ძალიან ნიჭიერია და კარგად თუ მოვამზადებთ, დიდ ფეხბურთს ითამაშებსო. სამწუხაროდ, ეს ბიჭი ვერც „ლოკომოტივს“ და ვერც ქართულ ფეხბურთს ვეღარ გამოადგა, გონსალესს კი გაუმართლა და დიდი ფეხბურთისკენ პირველი ნაბიჯიც გადადგა.

## სიასლა ჯეოსელისგან ჯომ-მიქსი!



wap.geocell.com.ge

GEO \*123# ჯომ MIX მიქსი

აკხიფათი

ს 1 2 3 4 5 6 7 8 9 0 # YES

და მოხანებ ალურად და ადგინეთ

მიხედიან ს რ უ ე ხ ბ შ რ თ ქ ე ბ ჯ ე ე ი ს ა ნ ბ ა რ ი შ ე შ ი

SCORE LIVE



# მე ვიცი, რომ არ იყო ის, რაც უნდათ, რომ იყო



— თქვენი აზრით, რა გახდა ამგვარი ბრალდებების საბაბი?

— არ ვიცი და, სიმათლე ვითხრათ, ამაზე არც ვფიქრობ. მე ვიცი ის, რომ თამაშის გარიგებაში „ამერს“ მონაწილეობა არასდროს მიუღია.

— თუ „ამერი“ მეტოქესთან არასდროს გარიგებულა, მაგრამ ბრაუს მაინც უყენებენ, გამოდის, რომ შეგნებულად ავრცელებენ ხმებს. ხომ არ გაქვთ ვარაუდი, ვის აძლევს ხელს კლუბის საწინააღმდეგო კამპანიის წარმოება?

— ამაზეც არ ვფიქრობ და, შესაბამისად, ვარაუდებიც არ მაქვს.

— „ამერის“ მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჩინჩიანი იგივე ვერსია დაასახელა: გუნდის სახელით სპეკულაციას ეწევიან ან ცდილობენ, გარიგებებში ჩაგვრიონ...

— როდესაც იცი, რომ გარიგებაში მონაწილეობას არ იღებ, მაგრამ ბრალდებებს გიყენებენ, ამგვარი ვერსიები ლოგიკურად ჩნდება.

— ბრალდებების გარდა, სხვა სახის ინფორმაციაც გავრცელდა. კერძოდ ის, რომ „ამერი“ მთავარი მწვრთნელიდან გიორგი ჩინჩიანის ათავისუფლებს და ვია გეგუაძეს იწვევს...

— დიახ, ესეც დაიწერა. ისიც შევიტყვე, რომ გეგუაძეს თურმე ვერ შევუთანხმდით და ახლა მოლაპარაკებას თემურ მახარაძესთან ვაწარმოებთ.

ეჭვიც არ მეპარება ამ მწვრთნელთა კვალიფიკაციაში, პატივს ვცემ მათ, მაგრამ გუნდიდან გიორგი ჩინჩიანის გათავისუფლებაზე ლაპარაკიც არ ყოფილა. არათუ ლაპარაკი, ერთი წუთითაც არ მიფიქრია მთავარი მწვრთნელის შეცვლაზე. იგივე შემიძლია ვთქვა სხვა მწვრთნელზეც. ჩვენ თანამოაზრეთა ძლიერი ჯგუფი ჩამოვყალიბეთ, რომელიც კიდევ უფრო გაფართოვდება, მაგრამ ვინმეს და, მით უმეტეს, მთავარი მწვრთნელის შეცვლაზე, როგორც ვთქვი, არც კი მიფიქრია.

ფეხბურთის კლუბ „ამერის“ ვიმპელზე კლუბის დევიზია: „ძალა და ღირსება“, რომელთა ქონაც „ამერს“ საეჭვოდ გაუხადეს.

შეგახსენებთ, რომ საქმე სავარაუდო გარიგებებს ეხება. ერთ შემთხვევაში, „ამერმა“ გვარიან თანხად იყიდა „კოლხეთისგან“ თასის ნახევარფინალის საგზური, მეორე შემთხვევაში კი, ამერელებმა შეგნებულად დათმეს „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩი.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ბრალდებათა საპასუხოდ „ამერის“ პრეზიდენტმა და ამავდროულად „სარბიელის“ გამომცემელმა ზურაბ ფოცხვერიამ ჟურნალისტური მოკვლევის ჩატარება მოგვთხოვა. გუშინწინ „სარბიელმა“ „ფაზისზე“ გამართული მატჩის მონაწილეებსა და მხილველებს — მწვრთნელებს, მსაჯს, ჟურნალისტებს სთხოვა კომენტარები.

შემოგთავაზეთ კლუბის გარიგებაში მამხილებელი წერილის ავტორის და „ამერის“ გენერალური მენეჯერის კომენტარებიც. აზრის გამოთქმა ვთხოვეთ ფეხბურთის ფედერაციისა და „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტებს.

დღეს კი მოკვლევის თაოსანთან, „ამერის“ პრეზიდენტ ზურაბ ფოცხვერიასთან ინტერვიუს გთავაზობთ...

კი არ ყოფილა. არათუ ლაპარაკი, ერთი წუთითაც არ მიფიქრია მთავარი მწვრთნელის შეცვლაზე. იგივე შემიძლია ვთქვა სხვა მწვრთნელზეც. ჩვენ თანამოაზრეთა ძლიერი ჯგუფი ჩამოვყალიბეთ, რომელიც კიდევ უფრო გაფართოვდება, მაგრამ ვინმეს და, მით უმეტეს, მთავარი მწვრთნელის შეცვლაზე, როგორც ვთქვი, არც კი მიფიქრია.

— უშვებთ თუ არა იმ ვარიანტს, რომ გარიგება თქვენ ზურაბს უკან შეიძლება ხდებოდეს?

— მე ვენდობი „ამერის“ ფეხბურთელებს, მწვრთნელებს, თანამშრომლებს. მართალია, ამბობენ, ასი პროცენტით არაფერში შეიძლება იყო დარწმუნებული, მაგრამ რამდენადაც შეიძლება ენდობოდე და გჯეროდეს ადამიანების, რომლებსაც დიდი ხანია იცნობ, მე ჩვენი კლუბის თითოეული წევრის მჯერა.

— ამერელებს არაერთხელ უთქვამთ, თამაშებს რომ ვყიდულობდით, ორი წლის წინ პირველი ლიგისგან არ გავვარდებოდითო. რაიმე სხვა არგუმენტიც თუ შეგიძლიათ დაასახელოთ?

— არგუმენტების დასახელებას აზრი არ აქვს. დიახ, მაშინ თამაშები რომ გვეყიდა, არ გავვარდებოდით. მაგრამ თუ ვინმეს ძალიან სურს, რომ ჩირქი მოგვცხოს, იტყვის, „ამერი“ იმ სეზონში თამაშებს ყიდდა. საერთოდაც, მე არ ვთვლი, რომ თავი უნდა ვიმათო. ამიტომაც მოვითხოვე გამოძიება.

— ეგებ ჯობდა, საერთოდ არ მიგექციათ ყურადღება ბოლო ხანს

თქვენს წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებებზე?

— ტრიბუნაზე ჯდომისას ხშირად მესმის მაყურებლისგან ჩემთვის უსასიამონო კომენტარები და შეფასებები „ამერის“ თამაშის შესახებ. თუმცა მე ვერაფერს ავუკრძალავ ლაპარაკს და აზრის გამოთქმას. მაგრამ როცა საქმე გვაქვს კონკრეტულ ბრალდებასთან კონკრეტული გუნდების და კონკრეტული თანხის დასახელებით, ეს ყველაფერი კი გაზეთში იბეჭდება, ბუნებრივია, უმწვავესი რეაქცია მექნება.


— შევეშვით გარიგებაზე ლაპარაკს. ფაქტია, რომ „ამერმა“ რამდენიმე ისეთი თამაში წააგო, რომლებშიც მეტოქეზე უარესად არ გამოიყურებოდა. მიზეზს რაში ხედავთ?

— ვეთანხმებით, იყო ასეთი თამაშები, მაგრამ ამის ახსნა რომ ვეძებდეს, ბუნებრივია, აღარც წავაგებდით.

— სეზონის წინ გუნდს მიზნად ვეროთასზე გასვლა დაუსახეთ. „ამერს“ თასის აღების შანსი აქვს. ჯერჯერობით კმაყოფილი ხართ?

— დიახ, „ამერს“ შეუძლია დასახული მიზნის მიღწევა, მაგრამ ასეც რომ მოხდეს და თასის მფლობელები გავხდეთ, ვიტყვი, რომ მიზანი კი შევასრულეთ, მაგრამ კმაყოფილი არ ვარ. ჩემპიონატში ახლა შემდეგ ადგილზე ვართ, რასაც კარგ შედეგად ვერაფრით ჩავთვლი. თუ ერთგან რაღაც კარგი მოხდება, არ ნიშნავს, რომ სხვაგან მომხდარი ცუდი უნდა დავივიწყოთ და გამოსწორებას არ ვეცადოთ.

გიორგი ღარჯანიანი



გიორგი ღარჯანიანი

## მიიპატიჟეთ მსაჯები მაგიდასთან

გარიგებული თამაშები, მოსყიდული ფეხბურთელები, ქულების გასესხება-ჩასესხება თავისთავად უდიდესი პრობლემაა, თუმცა ქართულ ფეხბურთის უფრო მეტად ალბათ ქორიბა და ეჭვის ჭია ღრღნის. საქართველოს ჩემპიონატში თამაშები, რა თქმა უნდა, „კეთილ-

ბა“, მაგრამ არა ისეთი კონვეერული წესით, როგორც ჩვენი „საფეხბურთო მითოლოგია“ მოგვითხრობს. საამისოდ ნოყიერ ნიადაგს ერთდროულად ქმნის ინფორმაციის ნაკლებობა, ნდობის ხარისხის დაცემა და... ამგვარად ისევ მსაჯობაზე მოგახსენებთ...



მურმან ფოცხვერიანი

მწვრთნელად გაიხსენებთ მატჩს, რომლის შემდეგაც ორივე გუნდის წარმომადგენელი კმაყოფილი დარჩენილა შავოსანთა გარჯით. ხშირად კი სადავო ერთი და იგივე ეპიზოდი გამხდარა, რომელსაც არბიტრმა მისებური ინტერპრეტაცია მისცა. ეს ინტერპრეტაციები საბოლოო ჯამში ახალგაზრდა ფეხბურთელებს კი არა, მრავლისმნახველ საფეხბურთო მოხელეებსაც აბნევს და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და მისი სამსაჯო კომიტეტი ხმამაღლა აცხადებენ, ჩაწყობილი თამაშები წარსულს ჩაბარდა და მსაჯთა ახალი თაობა წინამორბედთაგან განსხვავებით, გარიგებების ჭაობში არავის ჩაეთრევიან.

წამითაც არ ვაპირებთ ფედერაციის, სამსაჯო კომიტეტის ან რომელიმე კონკრეტული მსაჯის წესიერებაში ეჭვის შეტენას, თუმცა აქვე უნდა დავაფიქსიროთ, რომ წესიერება ერთია და კომპეტენტური-

ობა — მეორე. გუნდისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, კონკრეტულ შემთხვევაში მსაჯის წინასწარგანზრახული ქმედების გამო დაინაგრება თუ დაბალი პროფესიონალიზმის გამო.

ერთი წამით დავეშვათ, რომ ქართულ სამსაჯო კორპუსში წესიერების მხრივაც ყველაფერი რიგზეა და ჩვენი შავოსანების კომპეტენტურობაც სათანადო დონეზეა. ფეხბურთის წესები მაინც ტოვებს ერთგვარ „ლუფტს“, რომელიც მსაჯს ამა თუ იმ ეპიზოდის სხვადასხვაგვარად გადაწყვეტის საშუალება უტოვებს. მერე კი, როცა ორი სხვადასხვა არბიტრი ერთი და იგივე გუნდის თამაშებზე იდენტურ ეპიზოდებს სხვადასხვაგვარად განსჯის, პროტესტამდე და უნდობლობამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება.

მარტივი მაგალითი: „ზესტაფონი“ — „ამერის“ შეხვედრისას მასპინძელთა მეკარე გრიგოლ ჭანტურიამ საჯარიმოს გარეთ ხელით ითამაშა, მაგრამ არბიტრმა ყვითე-

ლი ბარათი აკმარა — დარღვევაც რომ არა, ამერელი სულიკო დაეითამაშე იმ პოზიციიდან გოლის გამტანი არ იყო. მომდევნო ტურში ერთმანეთს „სოხუმი“ — „ტორპედო“ დაუპირისპირდნენ. მასპინძელთა მეკარე კახა ჯინჭარაძემ ასევე საჯარიმოს გარეთ ხელით თამაშისთვის მყის წითელი ბარათი დაიმსახურა. ანუ: არბიტრის განსასჯელი გახდა, ვინ უკეთ მოარტყამდა ბურთს კარის ჩარჩოში, ამერელი სულიკო დაეითამაშე იმ ტორპედოელი მერაბ დოძუაშვილი.

სანამ ფეხბურთის ცოცხალი ადამიანები სჯიან და არა ვიდუკამერები, სუბიექტივიზმს ბოლომდე ვერ აღმოფხვრით, თუმცა მინიმუმამდე მისი დაყვანა ალბათ მაინც შეგვიძლია. აქედან გამომდინარე, გვერდა, გამოსავალი თუ არა, გამოსავლის მაგვარი მაინც შევთავაზოთ სამსაჯო კორპუსს. უმაღლესი ლიგის ნებისმიერი გუნდს საკუთარი თამაშების ვიდეოფირები აქვს. შესაძლებელია მათ ერთი ან

რამდენიმე მატჩიდან ამოკრიბონ ყველა სადავო ეპიზოდი. ამის შემდეგ შესაძლოა მსაჯთა კორპუსი და საფეხბურთო კლუბების წარმომადგენლები მრგვალი მაგიდის გარშემო შეიკრიბონ, განიხილონ თითოეული ეპიზოდი და იქვე ერთობლივად იმსჯელონ ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში რამდენად მართებული იყო მსაჯის გადაწყვეტილება. ამგვარი შეკრება მიზნად ვისივე დასჯას კი არა, ფეხბურთის თამაშის წესების ცალსახად ინტ-

ერპრეტაციას უნდა იხსნავდეს მიზნად.

განა რთულია თუნდაც ფეხბურთის ფედერაციის საკონფერენციო დარბაზში შეკრება? პრობლემა არც ვიდეომანიტოფონი ან ფართოკრანინანი ტელევიზორი უნდა იყოს. მაშ რაღა რჩება? მხოლოდ საიმისო ნება, რომ ქართული ფეხბურთის სამსაჯოში მდგომმა ადამიანებმა ერთსა და იმავე, წმინდა საფეხბურთო ენაზე საუბარი და სხვისი მოსმენაც ვისწავლოთ.



# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე ტურა

## 24 ტურის ამსვენებები

24-ე ტურში რამდენიმე მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა, რამაც გავლენა იქონია სატურნირო ცხრილზე. კერძოდ, ბორჯომში დამარცხებულმა „ვიტ ჯორჯიამ“ პირველი ადგილი დათმო და „დინამოს“ მომგებ „სიონს“ სამი ქულით ჩამორჩება. თანდათან სიცხადეს იქნეს ქვედა პოლუსიც — ავერ, „ცხინვალთან“ წაგების მერე „სპარტაკის“ მწვრთნელმა პირდაპირ თქვა, ლიგიდან გავვარდებით...

სიონი	1:0	დინამო
ბორჯომი	1:0	ვიტ ჯორჯია
ბორჯომი	2:3	ჯანსუღი
სპარტაკი	1:3	ცხინვალი
ავერი	1:0	კოლხეთი
ლოკომოტივი	1:4	თბილისი
ბათუმი	4:0	სოხუმი
დილა	4:2	ჯანსუღი

სიონი	24	18	4	2	42:1558
ვიტ ჯორჯია	24	17	4	3	46:1455
ჯანსუღი	24	14	6	4	34:1948
ბორჯომი	24	15	2	7	41:2047
ბათუმი	24	14	5	5	34:1647
დინამო	24	14	4	6	39:1846
ავერი	24	14	2	8	29:1844
ლოკომოტივი	24	10	4	10	36:3534
კოლხეთი	24	8	4	12	20:2528
ჯანსუღი	24	8	2	14	26:3726
დილა	24	7	4	13	28:3425
ცხინვალი	24	7	3	14	23:4424
ტორპედო	24	6	6	12	21:3124
სოხუმი	24	4	3	17	22:5415
თბილისი	24	4	2	18	18:4214
სპარტაკი	24	2	5	17	6:4311




განდრეი ქატილასონ ფოტო

### ნუ დაჭავთ დროს!

ჩემპიონატში ზედიზედ სამი წაგების მერე თბილისის „ამერს“ ფოთის „კოლხეთს“ ბოლო წუთზე გატანილი გოლით 1:0 მოუგო და განწყობაც ოდნავ გამოიკეთა. არადა, თამაში ისეთი იყო, ამერელები ცალკე ფოთელებს, ცალკე კი ნერვებს ებრძოდნენ. გასაგებია, ამდენი წარუმატებლობის მერე კიდევ ერთი წაფორხილება „ამერს“ გეგმებს ძალიან აურევდა, თუმცა ნერვიულობის საბაბს კოლხელებიც არ აკლებდნენ მასპინძლებს. მთელი მეორე ტაიმი ზღვისპირულმა კლუბმა დროის გაყვანის სხვადასხვა მეთოდების „დამუშავებას“ შეაღწია, თუმცა ეს, რომ იტყვიან, „მოსული ამბავია“ მანამდე, სადამდეც მსაჯი მივიშვებს. არბიტრმა კი მიუშვა და მიუშვა, არადა, ვალდებული იყო, ერთ-ორ ეპიზოდში ჯიბეში ჩაეყო ხელი...

### ჰეთ ტრიქო და ანტიჰეთ ტრიქო

24-ე ტურში ორი ჰეთ ტრიქი ვნახეთ, რაც თავისთავად გამოსარჩევი ამბავია, თუმცა უფრო საინტერესო ისაა, „ტორპედოს“ მცველმა დავით გამეზარდაშვილმა თავისი სამი გოლიდან ორი საკუთარ კარში რომ გაიტანა. აი, „თბილისის“ ტანმაღალმა ფორვარდმა რევაზ ბარაბაძემ კი ნაღდი და ალალი სამი გოლი მიითვა და თავის გუნდს მნიშვნელოვანი სამი ქულაც დაუბეჭდა. ამ ტურში „თბილისის“ „ლოკომ-



რევაზ ბარაბაძე

### როდის დაეთავსება ეს ჩვენი ნვალება?

მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატის დასრულებამდე ექვსი ტურია დარჩენილი, მაგრამ „სპარტაკის“ მთავარმა მწვრთნელმა ჯუმბერ აბაშიძემ „ცხინვალთან“ შინ 1:3 წაგებული მატჩის შემდეგ თქვა, ალბათ უმაღლესი ლიგიდან გავვარდებით. „სპარტაკს“ თეორიულად კვლავაც აქვს უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი, მაგრამ აბაშიძის გულწრფელი სიტყვები იმასაც მოწმობს, რომ მოსაზრებას, ამ სიტუაციაში თექვსმეტგუნდა ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე, სიმყარე აკლია — „სპარტაკი“ ერთადერთი გუნდი როდია, უსახსრობის და საეარჯიშო პირობების არქონის გამო ერთი სული რომ აქვს, როდის ჩამთავრდება ჩემპიონატი. ანუ, არ უნდა გავვიკვირდეს, როცა მწვრთნელი თავის გუნდზე ამბობს, ალბათ გავვარდებო.

### აუ, რამდენი ქალია...

ორი ტურის წინ ვწერდით, „ბორჯომი“ — „დინამოს“ მატჩისას მსაჯობით აღფრთოებული მასპინძელი კლუბის პრეზიდენტი მოედანზე შეიჭრაო. თავისთავად ფაქტი უსასიამოვნო იყო, მაგრამ კარგია, რომ იმ შემთხვევაში აღელვებულ ხელმძღვანელს მიმბაძელებიც არ გამოუჩნდნენ. გუმინდელი ტურის შემდეგ ისევ ბორჯომელთა ქომაგობაზე საწერად გამიწია კალამმა, თუმცა სრულიად განსხვავებულ კონტექსტში. ბოლო წლებში ბევრ ქართულ სტადიონზე გინახავთ, ტრიბუნას მატჩზე დასწრების მსურველი არ დაეტიოს? ხშირად შესწრებიხართ, გვარიანი ადრის მიუხედავად სტადიონიდან ფეხი არავის მიეცვალოს? იოლად გაიხსენებთ მატჩს, რომლის დროსაც ქომაგი სტუმარს ყველაფერს არ უტრიალებს და ნაღდი ქომაგობა რომ ჰქვია, ისე უდგას გვერდში საკუთარ გუნდს? ალბათ არა, არა-

და, თურმე ესეც შეგვძლება... მე რომ მკითხოთ, ამა თუ იმ გუნდის ქომაგთა შეფასებისას საუკეთესო ბარომეტრი სტადიონზე ქალბატონთა სიმრავლეა. „ბორჯომი“ — „ვიტ ჯორჯია“ ამ მხრივაც გამორჩეული იყო. ნაკლები მნიშვნელობა აქვს, სტადიონზე მისული გოგონები ვინააო და პორასის ან დარბაზის სეპარატორები ფანები არიან თუ ზოგადად ფეხბურთის. მთავარია, რომ სტადიონზე მისვლის სურვილი აქვთ და იქაური ატმოსფერო ამის საშუალებას აძლევთ. ჯამში კი ადგილობრივი მასშტაბის ზეიმს, სანახაობას ვიღებთ და არა სახეშეშლილ მასას, ხშირად თავისას და სხვისას რომ ვერ არჩევს. ფეხბურთი ხომ საბოლოო ჯამში სწორედ სანახაობა, ზეიმი. და თუ ვინმეს ჰგონია, რომ მოედანზე შეჭრა უფრო საინტერესო საგაზეთო თემად მიგვაჩნია, ვიდრე ლამაზად ქომაგობა, ძალიან ცდება.

### სიონი ბარსელონას მისწვდა



— ესპანეთში „ბარსელონა“, გერმანიაში „ბაიერნი“, საქართველოში „სიონი“! — ასეთი შემახილები ისმოდა ბოლნისის „თამაზ სტეფანიაზე“ „დინამოსთან“ 1:0 მოგების შემდეგ. კოკა მიკუნაძის ბოლო წუთზე გატანილმა ულაშავსმა გოლმა მთლად გადარია იქაური ფანობა. ბოლნისელ ქომაგებზე ბევრჯერ თქმულა (და სწორადაც), ნამეტანი ექსპანსიურები არიან და პირმყარობა მათი მოგონილიაო, თუმცა „დინამოსთან“ ცოტა მოთოკილები ჩანდნენ... ასე სჯობია: ვინება ნუ იქნება, თორემ გულშემატკივრები რომ ტრიბუნებზე ამოქნარებენ და ერთს არ წამოიყვირებენ, ეს რა მოსაწონია. ფანობის გუგუნე კი კახა ცხადაძის საპრესკონფერენციო დარბაზიდან გამოსვლის შემდეგ გაძლიერდა — „კახა ცხადაძეს გაუმარჯოს!“ — „სიონის“ თავკაცმაც ხელი აწია მადლობის ნიშნად და ასე დაემშვიდობა ხალხს.

**სიმბოლოური ნაპრაპი**

გონსალო დე პორასი ბორჯომი	რევაზ ბარაბაძე თბილისი
დავით დავითაძე ცხინვალი	რევაზ ჯიბია ბათუმი
ლევან ვარტაბაძე კოლხეთი	ლევან სანიკიძე ბორჯომი
დავით სვანიძე სიონი	გიორგი შაშიაშვილი დინამო
გურამ მამალაძე ბორჯომი	მაკა მიაქაძე სიონი
	დავით პაპრაძე ბორჯომი

გუნდი: სიონი  
მწვრთნელი: ვლადიმერ ხარიძე

**გომხარადირაპი**

14-მარცხვალამ	ვიტ ჯორჯია
12-მეგრელები	დინამო
11-ფეხალი	სიონი/დინამო
ოქსანაძე	ჯანსუღი
მიქუჩაძე	სიონი
9-ფოლიძე	სიონი/ავერი
დავითაშვილი	ავერი
ბოლნისიძე	დინამო
სულთანაშვილი	დილა/ცხინვალი
მ-მორიძე	ბორჯომი
ქუთათილაძე	კოლხეთი

**მომდევნო ტური**

15 აპრილი, შაბათი

ბორჯომი - ავერი  
თბილისი - დილა  
ჯანსუღი - ბათუმი  
სოხუმი - კოლხეთი  
ვიტ ჯორჯია - სპარტაკი  
დინამო - ტორპედო  
ცხინვალი - სიონი  
ჯანსუღი - ლოკომოტივი

---

**ნოვოს ბელეფონი**  
(18 წლიდან)

(822) 42-55-44 ქალაქის და გარეუბნის მობილური  
822 006 005 | მობილური  
822 006 099

„მაგთი“, „ჯეოსელი“ - 1ლ  
თბილისი - 0,65 ლ

# ანტილოტიმ ბარსასთვის ხერხი ნახა



პირველ წრეში „ინტერმა“ ადრიანოს გოლით 3:2 მოიგო

„მილანის“ და „ინტერის“ ტრადიციულად დიდი შეხვედრა, იგივე „დერბი დელა მადონინა“, ამჯერად მეორე ადგილისთვის ბრძოლის წინითაა გააღწეული. თავისთავად მეორე ადგილი კი, გარდა იმისა, რომ შესაძლებელია პრესტიჟულია, ავტომატურად ჯგუფის ადგილს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ერთი სიტყვით, „მილანს“

მოგება და შავ-ლურჯი მეტოქის ხუთი ქულით ჩამოტოვება, ხოლო „ინტერს“ ასევე მოგება და შავ-წითელი კონკურენტის ერთი ქულით გადასწრება სურს. მეორე მხრივ, მეორე ადგილისთვის ბრძოლა ერთია და ჩემპიონატის დამთავრებამდე ხუთი ტურით ადრე „მილანს“ „იუვენტუსი“ 7 ქულით რომ უსწრებს, მეორე

ცხადია, შეიძლება ქულა ცოტა არ არის, მაგრამ ხუთჯერ სამი, რომ თხუთმეტია, ესეც ხომ ფაქტია? „მილანმა“ ბოლო ხუთ თამაშში 11 გოლი გაიტანა და სამი თვის მანძილზე მისი დამარცხება მხოლოდ „ლექემ“ შეძლო, ისიც იმიტომ, რომ შავ-წითლებმა ჩემპიონთა ლიგის თამაშის წინ ძირითადი შემადგენლობის ბევრი ფეხბურთელი დაასვენეს. პლუს, მიმდინარე სეზონში „მილანმა“ ყველა შეჯიბრებაში ერთად 102 გოლი გაიტანა...

მილანის ბოლო ათი მატჩი			ინტერის ბოლო ათი მატჩი		
მილანი — კიევი	4:1	სA	უდინეზე — ინტერი	2:2	ით
მილანი — ლიონი	3:1	ჩლ	ასკოლი — ინტერი	1:2	სA
ლექე — მილანი	1:0	სA	ვილიარეალი — ინტერი	1:0	ჩლ
ლიონი — მილანი	0:0	ჩლ	ინტერი — მესინა	3:0	სA
მილანი — ფიორენტინა	3:1	სA	ინტერი — ვილიარეალი	2:1	ჩლ
უდინეზე — მილანი	0:4	სA	პარმა — ინტერი	1:0	სA
იუვენტუსი — მილანი	0:0	სA	ინტერი — უდინეზე	1:0	ით
მილანი — ბაიერნი	4:1	ჩლ	ინტერი — ლაციო	3:1	სA
მილანი — ემპოლი	3:0	სA	ინტერი — აიაქსი	1:0	ჩლ
პალერმო — მილანი	0:2	სA	ინტერი — სამპდორია	1:0	სA

სA — სერია A,  
ჩლ — ჩემპიონთა ლიგა,  
ით — იტალიის თასი

დიდა — კაფუ, ნესტა, მალდინი, კალაძე — გატუზო, ამბროზინი, იანკულოვსკი — ზეედორფი, კაკა — ვილარდინო

გოლდო — ხ. ძანეტი, კორდობა, სამუელი, ბურდისო — ფიგუ, კამბიასო, პიზარო, სტანკოვიჩი — ადრიანო, მარტინსი

„ინტერი“ კი მოკმა, რადგან გასულ კვირას მის ფეხბურთელებს საკუთარმა გულშემოტყვიარმა აეროპორტში ქეები დაუშინა. მიზეზი: ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნა. მეორე მხრივ კი შავ-ლურჯები ცუდ ფორმაში არ არიან, ბოლო ხუთი თამაშიდან სამი მოიგეს „ინტერს“ დაშვებული ჰყავს ხუთ ვერონი და ხე მარია, ხულიო კრუზი კი დისკვალიფიცირებულია. „მეორე და მესამე ადგილებს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა და

იმაზე, თუ რომელ ადგილზე გავალთ, დიდად იქნება დამოკიდებული მომდევნო სეზონის წინა მომზადების გეგმა. მეორე ადგილზე გასვლის შემთხვევაში გეგმა მეტისმეტად განსხვავებული იქნება მესამე ადგილთან შედარებით, მით უფრო, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის წელიწადია — თქვა „მილანის“ თავადაც კარლო ანელოტიმ, რომლის გუნდსაც მომავალ კვირაში ჩემპიონთა ლიგაში „ბარსელონასთან“ თამაში უწევს — არა მგონია, „ბარსელონასთან“ თამაშისთვის მოსამზადებლად, დერბის მოგებაზე უკეთესი ხერხი არსებობდეს.“

აპაუნა კედი

## ქალი გვინდა

ზივას განცხადებით ფრანგი ნელი ვიენო ფიზიკური მომზადების ტესტს თუ დაძლევეს, გახდება პირველი ქალი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე იმსახვებს. 44 წლის ვიენო აგრეთვე გახლდათ ქალთაგან პირველი, ვინც საფრანგეთის ჩემპიონატის თამაში იმსახვა. ეს 1996 წელს მოხდა. ფიფას პრესმდივანი ანდრეას ვერცი: „ის ფაქტი, რომ ქალბატონი ვიენო შეიძლება მართლა გახდეს მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი არბიტრი, ამაღლებულია. იმაღლოდა, მინდა ხაზგასმით განვაცხადო, რომ ის, მსაჯთა უორკშიპზე გამოძახებულია არა იმიტომ, რომ ჩვენ იდეური მოსაზრებით გვჭირდება ქალი მსაჯი, არამედ იმიტომ, რომ ის საუცხოლო არბიტრია.“ ვიენო კარგა ხანს გახლდათ ერთი პულას ბრიგადაში თანამსაჯი, პულა კი ფიფას მიერ მსოფლიოს ჩემპიონატზე დამტკიცებულ 23 მსაჯს შორისაა. ამავე ბრიგადაში არიან ლიონელ დაგორნი და ვენსან ტესიერი და ამ სამიდან ორმა მაინც რომ ვერ ჩააბაროს



ფიზიკური მომზადების ტესტი, მთელ ბრიგადას გააგებენ. ვიენოს ზურგს უმაგრებს 1996 და 2004 წლების ოლიმპიადითა გამოცდილება. აგრეთვე ის გახლდათ 2003 წლის ქალთა მუნდიალის ერთ-ერთი მსაჯი.

აპაუნა კედი

## ინტერი დახლზე

მილანის „ინტერის“ მფლობელი მასიმო მორატი კლუბის გაყიდვას აპირებს. მოგესხნებათ, ცნობილი ნავთობმაგნატი „ნეროპოლის“ სათავეში 1995 წელს მივიდა და მიუხედავად სურვილისა თუ მცდელობებისა, მისი მმართველობის პერიოდში კლუბმა დიდი წარმატებას ვერ მიღწია, თუ არ ჩავთვლით 1998 წელს მოგებულ უეფას თასსა და 2005 წელს მოპოვებულ იტალიის თასს. „ინტერმა“ სკუდეტო ბოლოს 1989 წელს მოიგო და ჯერჯერობით ნავსის გატეხვას ვერაფრით ახერხებს, რაც ფანების სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს. 2004 წელს მორატიმ პრეზიდენტის პოსტი ჯაჩინტო ფაქტის გადაულოცა, მაგრამ მფლობელი თვითონაა, თუმც, მისი თქმით, თუ კარგი მყიდველი გამოჩნდება, ჩამოშორდება გუნდს და „ნეროპოლის“ ქომაგობას კი გააგრძელებს. თერთმეტწლიანი მმართველობის პერიოდში მას ტრანსფერებში დაახლოებით 400 მილიონი დოლარი აქვს დახარჯული, მაგრამ... „იქნებ ჯობს, კლუბს ახალი პატრონი გამოუჩნდეს? ჩემს ხელში დიდი წარმატებების მიღწევა ვერ შევძელით, მაგრამ მეჯერა,



ეს მალე გამოსწორდება. ასე რომ, კარგი წინადადების მიღების შემთხვევაში მზად ვარ, გუნდი გაყვილო“ — თქვა მორატი.

კოტი განდელატი



„ჩელსი“ მომავალი სეზონისთვის ფორვარდის დამატებას რომ აპირებს, ძველი ამბავია. ლონდონელები ამჯერად ზლატან იბრაჰიმოვიჩს მადგენენ. ბრიტანული პრესის ცნობით, 28 მილიონ გირვანქად შეფასებულ შვედს „სტემფორდ ბრიჯზე“ გადასვლის შემთხვევაში წელიწადში 5 მილიონი გირვანქა ექნება, რაც მას ერთ-ერთ ყველაზე მაღალანაზღაურებელ ფეხბურთელად აქცევს. „იუვენტუსში“ 24 წლის თავდამსხმელს ლამის ამის ნახევარი აქვს და ხელფასის გაზრდაზეც უარს ეუბნებიან, თუმც, გუშინ გაცრცელებული არაოფიციალური ცნობით, შვედმა „იუვენსთან“ კონტრაქტი გაახანგრძლივა.

## იბრა აბრას იცვლის?

იბრაჰიმოვიჩმა წინა სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარა, მაგრამ მიმდინარე პირწმინდად ჩავლო. ამის გამო არაერთხელ მოუხდა კრიტიკის მოსმენა და ფაბიო კაპელომ სათადარიგოთა სკამსაც დააჩვია. ეს ყველაფერი კი ცოტა რთული ხასიათის ფეხბურთელს არ ესაიძვნა. თანაც, შედარებით დუნე და მშვიდი ტურნული ცხოვრების წესით უკმაყოფილო ყოფილა მის გელფრენდს თურმე სულაც ეზიზღება ტურინი და ზლატანს სხვა, უფრო მხიარულ ქალაქში ექაჩება. ამბობენ, იბრაჰიმოვიჩმა თავადაც სთხოვა თავის აგენტ მინო

რილას, ევბ რომელიმე გრანდი მომიძიებო სარფიანი წინადადებით. გესმისმეთა, მისით მადრიდის „რეალიცა“ დაინტერესებული „იუვენტუსი“ კი სარფიან წინადადებებზე იშვიათად ამბობს უარს, მით უმეტეს, რომ ზაფხულში საკმაოდ სერიოზულ რეორგანიზაციას გეგმავს. უოზე მაურინიუს სიაში კი იბრაჰიმოვიჩის გარდა, მილანელი ანდრეი შევენკო, ინტერელი ადრიანო და ბარსელონელი სამუელ ეტოოც არიან.

გიორგი კაპაბაძე

# ფუ. ისევ ფეხბურთი. გადართეთ მუსიკაზე



ფაბიო კაპელოს მალე 60 წელი შეუსრულდება და იტალიურმა ჟურნალმა „ესპრესომაც“ ამიტომ ჩამოართვა ინტერვიუ. რაზე ისაუბრეს? პოლიტიკაზე, დოპინგზე, რწმენაზე, ოცნებაზე, გახდეს ინგლისის ნაკრების თავკაცი...

წარმოშობით ფაბიო კაპელო ფრიულის პროვინციდანაა. ბუნებით გამარჯვებულს მონყურებული ადამიანი გახლავთ და ამ თანდაყოლილი თვისების კათოლიკურ რწმენასთან შეთავსება უხდება. ჟურნალისტებს ის მაინცდამაინც არ უყვართ, რადგან, თუ შემთხვევით იმას შეეკითხებით, თქვენამდე მისთვის ასჯერ რომ უკითხავთ, შეიძლება გაცხარდეს. მაგალითად, ჯობს, მოერიდოთ კითხვებს „იუვენტუსისადმი“ მსაჯების სიმპათიასა და დელ პიეროსადმი დამოკიდებულებაზე.

რომში მას მოლაღატეს ეძახიან, რადგან ორი წლის წინ მოულოდნელად მიატოვა „რომა“, რომელსაც იტალიის ჩემპიონობა და ქვეყნის სუპერთასი მოაპოვებინა. მაგრიდში დონ ფაბიოდ მოიხსენიებენ და სიამოვნებით დაიბრუნებდნენ, რადგან იქ მხოლოდ ერთი წელიწადი დაჰყო და ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოიგო. მილანში,

სადაც მისი ვაჟები ცხოვრობენ საჩუქრად ოთხი სკუდეტო და ჩემპიონთა თასი აქვს დატოვებული, ტურინში კი ზედიზედ მეორედ ხდება ქვეყნის ჩემპიონი, მაგრამ... რად გინდა, თუკი ადამიანს ოცნება არასდროს ელევა. ფაბიო კაპელოს ახალი ოცნება ინგლისის ნაკრების გაძლიერებაა. და კიდევ ერთი, ინტერვიუ იტალიის არჩევნების წინ არის აღებული



„რომა“ პრეზიდენტი ფრანკო სენსი და ფაბიო კაპელო

## იტალიაში გაჭედვილი კაპელო დილა-საღამოს ლოცულობს და ინგლისზე ოცნებობს

— წლეულს იტალიის ჩემპიონატი მოსაწყენი გამოდგა. „იუვენტუსმა“ შუა მარტშივე თითქმის გაინაღდა სკუდეტო და სანახავი აღარაფერი დარჩა.

— იტალიელი ქომაგების 85 პროცენტი სამ გუნდს, „იუვენს“, „მილანს“ და „ინტერს“ უჭერს მხარს, ასე რომ, არა მგონია, ისინი მოწყენილები იყვნენ.

— ამ სამეულს ფული არ აკლია. დანარჩენები?

— დღევანდელ ფეხბურთში დანარჩენი გუნდების ქომაგებმა იმთავითვე იციან, რომ ბევრს არ უნდა ელოდნენ. ფაქტობრივად, ერთ ლიგაში ორი ჩემპიონატი ტარდება.

— გამოდის, რომ ყველაფერი ეკონომიკაზეა დამოკიდებული.

— ფული საჭიროა, მაგრამ მარტო ფული საკმარისი არ არის. ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვაც ძალიან მნიშვნელოვანია. მას დიდი სიზუსტე სჭირდება. დახეი, „ინტერს“, რამდენიმე საუკეთესო ფეხბურთელი მტოკეებს დაურიგა და 16 წელიწადია, ჩემპიონი ვერ გახდარა.

— მიდით და თქვენ სცადეთ „ინტერის“ ჩემპიონობა.

— „ინტერში“ გადასვლასთან რამდენჯერმე ძალიან ახლოს ვიყავი, მაგრამ ყოველთვის რაღაც ისეთი მოხდა, რომ გეგმა ჩაიშალა. ახლა უკვე გვიანაა. სამ წელიწადში საკლებო ფეხბურთის თავს დაკანებებ.

— ფეხბურთი აღარ გსიამოვნებთ?

— ჩემი პროფესია მიყვარს, მაგრამ მას ბევრი ისეთი რამ ახასიათებს, რაც არ მომწონს. საერთოდაც, ჩემი ინტერესი მხოლოდ ფეხბურთით სულაც არ შემოიფარგლება. მაგალითად, ჩემი მეგობრების დიდი უმრავლესობა ფეხბურთთან საერთოდ არაფერ შუაშია. ცოლს, ლაურას სამსახურის საქმეებზე არასდროს ველაპარაკები. იმისათვის, რომ კარგად დავიძინო, წიგნი უნდა წავიკითხო ან მუსიკა უნდა ჩავრთო, ხოლო საფეხბურთო მიმოხილვებს უკვე მრავალი წელიწადია, არ ვუყურებ. არ მინტერესებს ეს წინასწარ დადგენილი ჩხუბები, სადაც ყველამ იმთავითვე იცის, როგორ უნდა დამთავრდეს მისთვის სპექტაკლი. ფუ... ამას ჯერი სკოტის მუსიკალური პროგრამა მირჩევია.

— თამაშების ტრანსლაციებს მაინც არ ადევნებთ თვალს?

— უყურებ, მაგრამ რეპორტაჟებიც დღითიდღე უარესდება. რეჟისორები მეტწილად ახლო კადრების ჩვენებაზე გადავიდნენ და ვეღარ გავიგებ, მოედანზე რა ხდება. ფეხბურთი ხომ კოლექტორული სპორტია და არა ინდივიდუალური. მე თუ მარტო ბურთიანი კაცი მაჩვენებს, ვერაფრით მივხვდები, რა ხდება გარშემო. რა კარგი იყო ადრე, მხოლოდ სამი კამერა რომ მუშაობდა. ჯობს ამ პრინციპს დაუბრუნდეთ.

— თქვენი სიტყვები ობიექტურია თუ მალე 60 გისრულდებათ და ნოსტალგია გალამაზავებთ?

— 60 წელი არ მაღელვებს, რადგან ცხოვრებაში გამიმართლა. გამიმართლა ჯერ კიდევ მაშინ, რომელმაც საკონცენტრაციო ბანაკს გაუძლო და შემდეგ ექვსი წლისას სოფელ პიერისში ბურთი გაემოძივარა, დაარტყიო. პიერისში ჩავდივარ ხოლმე. იქ დღეაქმი ცხოვრობს. ის 86 წლისაა.

— და რომში საერთოდ აღარ ჩადიხართ?

— იშვიათად და ფრთხილად. იქ კბილის ექიმი მყავს და როდესაც მასთან ვარ მისასვლელი, სწრაფი რეაგირების პოლიციას ვატყობინებ. მოკლედ, ქუჩაში მარტო ვერ გავდივარ და ლუდის დასალევად ბარში ვერ ვვადებ.

— ასეთი მდგომარეობა ალბათ გაღიზიანებთ.

— ძალიან, რადგან რომი მიყვარს. იქ შხე საუცხოოდ ჩადის და ყოველი კუთხე დიდ ისტორიას ასხივებს.

— რომაელები ჭორაობენ, რომ თქვენ მათ ქალაქში ავერტინის გორაზე, მდიდრულ ვილაში ცხოვრობდით.

— სისულელეა. ხუთი წლის განმავლობაში ერთსა და იმავე ბინას ვქირაობდი მოსტაჩანოში. ვილა, რომელიც თქვენ ახსენებ, მხოლოდ „რომას“ პრეზიდენტის, სენსის დაპირება იყო, მაგრამ როგორც თქვენ არ გინახავთ თვალით, ისე არ მინახავს მეც.

— ტურინში სადღა ცხოვრობთ?

— კროჩეტას კვარტალში, სადაც თავს საუცხოოდ ვგრძნობ. მიდისარ ქუჩაში და არავინ არ გეტორღილება. საღამოობით მე და ჩემი მეუღლე ვა სალუკოზე რესტორან „ურბანიში“ დავდივართ, ხოლო თუ ფორმალური ვარემო, მაშინ „კაზა ვინჩინას“ მივაკითხავთ ხოლმე. ისე, ეროვნული რესტორნებიც მიყვარს: ინდური, არაბული, იაპონური...

— „იუვენტუსში“ ცნობილი სამეულის, მოჯი-ჯირაულო-ბეტეგას ახლობელი გახდით.

— ბეტეგას რა ხანია, ვიცნობ, დანარჩენები კი ახლახან ვაცივანი და აღმოვაჩინე, რომ თავიანთი საქმის დიდოსტატები არიან.

— ამბობენ, რომ „იუვენტუსის“ სტილი ამ სამეულის განაპირობებულა.

— ადრე ანიელის ადვოკატი რამეს რომ ამბობდა, ხმას ვერ ამოიღებდი, ეს ხალხი კი მსჯელობს, დავობს და გადაწყვეტილებამდე ისე მიდის.

— „იუვენს“ ფეხბურთელებთან ურთიერთობაზე რაღას იტყვი?

— ცდილობ, მამის ტიპის მწვრთნელი ვიყო. ვიცი, რომ ფეხბურთელები ჩემს ყოველ სიტყვას წონიან და გონებაში ატრიალებენ. იმისათვის, რომ მათ მოედანზე თავი დადონ, უნდა მენდობოდნენ და ჩემს მითითებებს ასრულებდნენ. ბოლოს და ბოლოს, მოედანზე ხომ ისინი გადაიან და თამაშებს ისინი იტყვენ. მწვრთნელის დამსახურება მხოლოდ 15-20 პროცენტია.

— დოპინგის თემაზე გადავიდეთ. კიდევ არის ფეხბურთში დოპინგი?

— მე ფეხბურთელობის დროსაც მინახავს, რა ხდება და მწვრთნელობის დროსაც, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი არ დირს. ყველამ ვიცით, რომ ბევრი მეული წამალი მოვივანებით აკრძალეს. მაგალითად მიკორენი, რომელსაც ყველა სვამდა. მეც ვსვამდი მიკორენს, ნაკრებშიც კი ვსვამდი, მაგრამ მაშინ მას დოპინგს არ ეძახდნენ.

— დღეს?

— დღეს წამლით ჯანზე მოსვლა უფრო ძნელია, რადგან კონტროლია გამკაცრებული. ხშირად მოულოდნელი შემოსებაც ხდება, სისხლს იღებენ, თუმცა ისიცაა, რომ დოპინგი ანტიდოპინგს ყოველთვის უსწრებს. მოკლედ, ხელის ცეცხლში შეყოფა არასდროს ვარცა.

— რვა წლის წინ დოპინგის საკითხი ზდენეკ ზემანმა წამოწია. კარგი ქა თუ ცუდი?

— ვფიქრობ, სანამ რამეს იტყვი, კარგად უნდა დაფიქრდე, სინამდვილეში რისი მიღწევა გინდა.

— ანუ?

— ანუ ის, რომ ასეთ კამპანიას თუ იწყებ, ან უშუალო მოწმე უნდა იყო, ანაც მტკიცებულება უნდა გქონდეს.

— რატომ აპირებთ მწვრთნელობისთვის თავის დაწებებას?

— საკლებო დონეზე მართლა აღარ მინდა მუშაობა, მაგრამ საწარმოო დონეზე, თან უცხოეთში, სიამოვნებით ვიმუშავებდი.

— უცხოეთში? მაგალითად?

— მაგალითად, ინგლისში. ამაზე ყოველთვის ვოცნებობდი.

— კი მაგრამ, რით არ ვაკმაყოფილებთ იტალია?

— იტალია ქაოსური და ნაკლებ დინამიური ქვეყანაა. აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე იტყვები. შეადარეთ, მაგალითად, ესპანეთს. რამდენად ცოცხალი და იმავდროულად მოწვევით სავსე ქვეყანაა, არა?

— ესპანეთი მოგწონთ, მაგრამ ერთხელ ფრანკიზმი შეაქეთ და სკანდალი გამოიწვიეთ...

— მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ დიქტატორს ხანდახან კარგის შექმნაც შეუძლია. ცხადია, ნებისმიერი ტირანიის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ თუ ფრანკიზმმა დატოვა სახელმწიფო აპარატი, რომელიც დღემდე მოქმედებს და მუშაობს, რატომ არ უნდა ვთქვა ამის შესახებ?

— მემარჯვენე ხართ?

— ოცა წლის რომ ვიყავი და რომში ჩაკედი, პოლიტიკით დავინტერესდი. ეს იყო 1968 წელს, როდესაც ქვეყანა დემონსტრაციებს ჰყავდა ჩაყლაპული. მეგობარი მყავდა, სოციალისტი. მასთან უამრავს ვლაპარაკებდი. მერე ხან სოციალისტებს ვაძიებდი ხმას, ხან რესპუბლიკელებს, ხან ქრისტიან-დემოკრატებს... შემდეგ ჩრდილოეთის ლიგას დავეუჭირე მხარი, მერე „ფორცა იტალიას“...

— ახლა?

